მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულება	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზია
საიდენტიფიკაციო კოდი	429649044
რეგიონი	იმერეთი
რაიონი	ვანი
მისამართი	ქ. ვანი, სანაპიროს N25
საფოსტო ინდექსი	1900
დაწესებულების ვებ-გვერდი	Vanisgimnazia.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	cm.nino@yahoo.com
ტელეფონი/ფაქსი	
დაწესებულების ხელმძღვანელი	
სახელი და გვარი	მიტროპოლიტი ანტონი (მარკოზ) ბულუხია
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა	
პედაგოგი	34
სერტიფიცირებული პედაგოგი	
მოსწავლე/სსსმმოსწავლე	0
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 04 სექტემბრის N40 გადაწყვეტილება
მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	234

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულება ახორციელებს

დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 25 ოქტომბრის N1009 ბრძანება
მონიტორინგის ჯგუფის წევრები	დავით ლიპარტელიანი - თავმჯდომარე; ინგა ლომაძე - წევრი.
ვიზიტისგანხორციელების პერიოდი	6-8 ნოემბერი 2019 წელი
დასკვნის მომზადების თარიღი	06 დეკემბერი 2019 წელი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

I. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა	დაწესებულებამ წარმოადგინა 2019-2020 სასწავლო წლის გიმნაზიის სასწავლო გეგმა, რომელიც განხილულია და დამტკიცებულია 2019 წლის 09 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N1 სხდომაზე გიმნაზიის რექტორის მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილია: • გიმნაზიის მისია; • გიმნაზიის საათობრივი ბადე; • სასწავლო და დასვენების დღეების კალენდარი; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; • საგნობრივი კათედრების ჩამონათვალი; • სასწავლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალი; • შეფასების პრინციპები; • სადამრიგებლო პროგრამა; • სსსმ პირის განათლება. გიმნაზიის მისიის მიხედვით, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზია არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

	ახორციელებს თავის საქმიანობას დაწყებით (I-VI), საბაზო (VII-IX) და საშუალო (X-XII) საფეხურებზე. მართლმადიდებლური გიმნაზია ემსახურება კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების, ქვეყნის კულტურული ღირებულებების, ქრისტიანული ტრადიციების და ტოლერანტობის განვითარებას. გიმნაზიის ამოცანაა აღუზარდოს საქართველოს ზნეობრივად და ფიზიკურად განვითარებული, განათლებული, კაცთმოყვარე, წარმატებული და კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობა და ამით ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. გიმნაზია ამზადებს მოზარდებს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის. გიმნაზიის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა, სადაც ასახული იყო რომელ პედაგოგს, კვირაში რამდენი საათი აქვს ჩასატარებელი კონკრეტულ საგანსა და კლასში. თუმცა არ იყო წარმოდგენილი რომელ კლასს, რომელი საგანი დღის რომელ მონაკვეთში უტარდება. დოკუმენტში არ იყო წარმოდგენილი საათობრივი ბადე, თუმცა ნათქვამი იყო, რომ თითოეულ კლასში ისწავლება ის საგნები, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით და იქვე დაკონკრეტებული იყო რომელ საგანში აქვს დაწესებულებას გაზრდილი კვირეული საათობრივი დატვირთვა და რომლებში შემცირებული. **(დანართი 1)** ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: „სასკოლო საათობრივი ბადე: ა) განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

	ბ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება." ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით: „სასკოლო საათობრივ ბადეში უნდა აღინიშნოს როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება (არსებობის შემთხვევაში)". 2019-2020 სასწავლო წლისათვის, გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ წრეებს: ქართული გალობა, ხალხური საკრავები, ჭადრაკი, რუსული ენა. სასწავლო გეგმის მიხედვით ასევე დასაშვებია სხვა წრეების ფუნქციონირებაც, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები. გიმნაზიის სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია გაკვეთილების და შესვენებების ხანგრძლივობა, ასევე განსაზღვრულია სასწავლო და დასვენების დღეები. გიმნაზიაში შრომის კოდექსისა და განათლების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული დასვენებისა და არდადეგების დღეებისგან განსხვავებით, დასვენების დღეებად ასევე განსაზღვრული აქვს ზოგიერთი მართლმადიდებლური დღესასწაული მაგ. 21 სექტემბერი (ღვთისმშობლის შობის დღე), 27 სექტემბერი (ჯვართამაღლება), 4 დეკემბერი (ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება) და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია დასვენების დღედ გამოცხადებული რელიგიური დღეების ანაზღაურების გრაფიკი. დაწესებულებაში აღნიშნული დღეების ანაზღაურება ხდება შაბათობით. გიმნაზიაში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა და ამავე დოკუმენტში გაწერილია კათედრების ძირითადი ფუნქციები.

	დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამა და კლასის დამრიგებლის ფუნქციები. გიმნაზიის სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა გიმნაზიის მისიას, თუმცა მისი სტრუქტურა არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კერძოდ, **გიმნაზიის სასწავლო გეგმაში უნდა აისახოს საათობრივი ბადე ესგ-ის შესაბამისად.** დაწესებულებამ ვიზიტის დასრულების შემდეგ, ცენტრში წარმოადგინა გიმნაზიის სასწავლო გეგმაში ასახული ცვლილებები. საიდანაც ირკვევა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასკოლო სასწავლო გეგმასთან არსებული შეუსაბამობები აღმოფხვრილია. **(დანართი 2)**
დადასტურება/დანართი	• გიმნაზიის სასწავლო გეგმით • პედსაბჭოს N1 ოქმით; • დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუთი. • დაწესებულების მიერ წარმოდგნელილი გიმნაზიის სასწავლო გეგმაში ასახული ცვლილებებით
შეფასება	**შეესაბამება** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტს

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

აღწერა	გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნებისა, გიმნაზიაში I-VI კლასებში დამატებით ისწავლება „საღმრთო სჯული“ კვირაში 1 საათის დატვირთვით; VII-VIII კლასებში 1 საათიანი დატვირთვით ისწავლება „ახალი აღთქმა“ IX-XII კლასებში ისწავლება „რელიგიის ისტორია“ 1 საათიანი კვირეული დატვირთვით. „ძველი ქართული ენა“ ისწავლება V-VII კლასებში. აღნიშნულ საგნებში მოსწავლეები ფასდებიან „ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა“ პრინციპით. გერმანული ენა, როგორც მეორე უცხოური ენა ისწავლება III-X კლასებში; ხოლო XI-XII კლასებში, მეორე უცხო ენად ისწავლება რუსული ენა. გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ წრეებს: ქართული გალობა, ხალხური საკრავები, ჭადრაკი, რუსული ენა. სასწავლო გეგმის მიხედვით ასევე დასაშვებია სხვა წრეების ფუნქციონირებაც, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები. გიმნაზიაში ხშირად ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, ინტეგრირებული გაკვეთილები, თემატური ექკურსიები მშობლებთან ერთად. მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის კონკურსებში, სადაც აქვთ წარმატებები. გიმნაზიის ღონისძიებებში ჩართულნი არიან როგორც მასწავლებლები, ასევე ბიბლიოთეკარი. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გამოავლინონ საკუთარი ნიჭი და ინტერესები.
დადასტურება/დანართი	• გიმნაზიის სასწავლო გეგმით; • მოსწავლეებთან ინტერვიუთი • მასწავლებლებთან ინტერვიუთი;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

	• ბიბლიოთეკართან ინტერვიუთი; • მასწავლებლების პორტფოლიოებით • მოსწავლეთა წარმატების დამადასტურებელი სიგელებითა და სერტიფიკატებით.
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტს

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა	გიმნაზიაში შემუშავებულია ინკლუზიური სწავლების კონცეფცია და პროცედურა. ვინაიდან მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები გიმნაზიას შემუშავებული არ აქვს.
დადასტურება/დანართი	• გიმნაზიის სასწავლო გეგმით
შეფასება	**შეესაბამება** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტს.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

აღწერა	მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემის შესაბამისად. გიმნაზიის სასწავლო გეგმაში ასახულია შეფასების

	პრინციპები. დოკუმენტის მიხედვით კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან მოსწავლეებს დაუწერონ მოკლე შემაჯამებელი კომენტარი ტექსტის სახით, სადაც დაახასიათებს მოსწავლის წარმატებებს და მისცემს მას რჩევას საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენისათვის. „საღმრთო სჯული“, „ახალი აღთქმა“, „რელიგიის ისტორია“ და „ძველი ქართული ენა“ ითვალიწინებს მოსწავლეთა „ჩათვლა/არ ჩათვლა“ პრინციპით შეფასებას. აღსანიშნავია, რომ გიმნაზიის სასწავლო გეგმაში, არ არის ასახული კლასების მიხედვით შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობები, თუმცა სასკოლო ჟურნალების გადამოწმების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ჟურნალებში შესაბამის ადგილას არის მითითებული სემესტრების განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი რაოდენობები. შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებაში, სასწავლო გეგმაში არის შემდეგი ტიპის ჩანაწერი „მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და გიმნაზიის მიერ დამატებით დადგენილი ყოველი თემის დასრულების შემდეგ და/ან საგნის მასწავლებლის შეხედულებისამებრ)“. დაწესებულებას ადგილზე მიეცა რეკომენდაცია, რომ აჯობებდა შემუშავებულიყო ცხრილის ფორმა, სადაც კლასების და საგნების მიხედვით მითითებული იქნებოდა წლის/სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამაბელი დავალებების რაოდენობები. სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა წლიური გამოცდების ჩატარება V-XII კლასებში. (დანართი 1)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

	ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად: „წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. თუ სკოლას სურს საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე." დაწესებულებამ, ვიზიტის დასრულების შემდეგ, ცენტრში წარმოადგინა გიმნაზიის სასწავლო გეგმაში ასახული ცვლილებები. საიდანაც ირკვევა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასკოლო სასწავლო გეგმასთან არსებული შეუსაბამობები აღმოფხვრილია. **(დანართი 2)**
დადასტურება/დანართი	• გიმნაზიის სასწავლო გეგმით; • საკლასო ჟურნალებით. • დაწესებულების მიერ წარმოდგნელილი გიმნაზიის სასწავლო გეგმაში ასახული ცვლილებებით
შეფასება	**შეესაბამება** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტს

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

აღწერა	დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მშობლის ინფორმირების და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფისათვის შექმნილი დოკუმენტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

	დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნულს გიმნაზიაში არეგულირებს სასწავლო გეგმაში არსებული დამრიგებლის მოვალეობებში გაწერილი ფუქნციები. დოკუმენტის თანახმად დამრიგებელმა მოსწავლეებსა და მშობლებს უნდა გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე ის რეგულაციები, რომელიც მათ ეხება. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეხვდეს მშობელს და მიაწოდოს მოსწავლესთან და გიმნაზიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასევე უნდა უზრუნველყოს მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის აღწერილი ის პროცედურები, როგორ და რა პერიოდულობით უნდა მიაწოდოს მასწავლებელმა მშობელს ინფორმაცია. დაწესებულების წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით, ასევე დამრიგებლების პორტფოლიოების შესწავლით დადგინდა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ სისტემატიურ მონიტორინგს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობაზე, დამრიგებლების პორტფოლიოებში ხდება ამის აღნიშვნა და შემდეგ, კვირაში ერთხელ, მშობლისათვის გაცნობა. თუმცა აღნიშნული დამკვიდრებული პრაქტიკის დოკუმენტური ინსტრუქცია ან წესი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. **რეკომენდირებულია** დაწესებულებამ შეიმუშაოს წესი, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული მშობლის ინფორმირების ხერხები და ვადები, რომელიც უკვე დამკვიდრებულია გიმნაზიაში. დებულების მიხედვით გიმნაზიის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს მშობელთა კომიტეტი. რომელიც არის მშობელთა ნებაყობლობითი გაერთიანება, რომელშიც წარმოდგენილია თითო კლასიდან რამოდენიმე მშობელი. კომიტეტი განიხილავს გიმნაზიის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

	სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს. კომიტეტს უფლება აქვს შეიმუშაოს რეკომენდაციები და განსახილველად წარუდგინოს გიმნაზიის დირექციას. მშობელთა კომიტეტი იკრიბება სემესტრში ერთხელ ან განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება შეიკრიბოს არანაკლებ 5 მშობლის მოთხოვნით.
დადასტურება/დანართი	• გიმნაზიის სასწავლო გეგმით; • გიმნაზიის დებულებით; • მშობლებთან, მასწავლებლებთან და დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუთი.
შეფასება	**შეესაბამება** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე" პუნქტს

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

აღწერა	გიმნაზიამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა სასწავლო გეგმის გაუმჯობესებისა და შეფასებისათვის ცალკე დოკუმენტად შემუშავებული მექანიზმები, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით გიმნაზიის სასწავლო გეგმის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები გაწერილია 2019-2024 წლის სტრატეგიულ გეგმაში. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში ხორციელდება SWOT ანალიზი, ხოლო სტრატეგიულ მიმართულებებად განსაზღვრულია: ორგანიზაციული განვითარება, მომსახურების გაუმჯობესება, STEM საგნების, ინგლისური და გერმანული ენის სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

	სტრატეგიული გეგმის მიხედვით, დაგეგმილია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და უცხოური ენების სწავლების გაძლიერება IX-XII კლასებში. გიმნაზიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით SWOT ანალიზზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, როემლსაც ასევე ევალება კვლევის განხორციელება და მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულებამ, ვიზიტის დასრულების შემდეგ, ცენტრში წარმოადგინა გიმნაზიის სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ცალკე დოკუმენტად. სადაც გაწარელია გიმნაზიის სასწავლო გეგმის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე განსაზღვრული პასუხისმგებლობები და პროცედურები. **(დანართი 3)**
დადასტურება/დანართი	• გიმნაზიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა • სტრატგიული გეგმა 2019-2024 • გიმნაზიის სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
შეფასება	**შეესაბამება** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლიმითს „ვ" პუნქტს

II. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

აღწერა	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზია

	ფუნქციონირებს ქ. ვაწში, სანაპიროს ქ. N25-ში მდებარე ფართზე განთავსებულ ორსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართია 1068.2კვ.მ. გარდა აღნიშნულისა, ამავე ფართზე მდებარეობს კიდევ 2 შენობა-ნაგებობა, რომელთაგან ერთი განკუთვნილია სასადილოსთვის, ხოლო მეორე შენობაში განთავსებულია საპირფარეშოები. ასევე ამ შენობაში განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, თუმცა ვიზიტის პროცესში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. დაწესებულების ხელმძღვანელის თქმით სპორტული დარბაზის ნაცვლად აღნიშნული ფართი გამოიყენება სხვადასხვა პროექტებისთვის. ფართი გიმნაზიას თხოვებით გადაეცა 2010 წლის 30 ივლისს 10 წლის ვადით. 2016 წლის 24 აგვისტოს N85 ხელშეკრულებით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია გახდა აღნიშნული ფართის უზუფრუქტუარი.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**N 31.01.26.024**
დადასტურება/დანართი	• ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტს

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

აღწერა	შენობაში არის 11 მოქმედი საკლასო ოთახი, ერთი კომპიუტერული კლასი, სააქტო და სპორტული დარბაზი (39,1კვ.მ), სადაც განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთს მაგიდა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

	სამასწავლებლო, დირექციის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის ოთახი, სამლოცველო, ერთი სამუშაო ოთახი, ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. საკლასო ოთახებში განთავსებულია 194 ერთადგილიანი მერხი. სპოტულ დარბაზში განთავსებული იყო 1 ორადგილიანი მერხი. აღნიშნული ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვების და ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის მიხედვით გიმნაზიას გააჩნია ერთადგილიანი 234 მერხი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ზოგიერთი მერხი ექსპლუატაციისას დაზიანდა. მერხების არსებული რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს გიმნაზიაში ვიზიტის დროს არსებულ მოსწავლეთა კონტიგენტს, თუმცა ავტორიზაციის დროს განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დასაკმაყოფილებლად, გიმნაზიას ესაჭიროებოდა კიდევ 40 მერხი და სკამი. გარდა აღნიშნული ინვენტარისა საკლასო ოთახები აღჭურვილია პლაკატებით. რუკებით, ცხრილებით და სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებებით, მასწავლებლის მაგიდებით, სასკოლო დაფებითა და სწავლისათვის საჭირო რესურსებით. ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ჩუქების აქტი, რომლის მიხედვით ა(ა)იპ - ქ. ბაღდათის წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის რექტორმა საჩუქრად გადასცა 40 ერთეული მერხი და სკამი. **(დანართი 4)**
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • მერხების შეძენისა და ჩუქების დოკუმენტებით. • ა(ა)იპ - ქ. ბაღდათის წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ჩუქების აქტით.
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

აღწერა	დაწესებულებას გააჩნია სპორტული მოედანი. გარდა ამისა დაწესებულებამ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულების გაერთიანებასთან გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტი, რომლის მიხედვით, გიმნაზიას შეუძლია ისარგებლოს სპორტული დარბაზებით ყოველ სამუშაო დღეს 12:00-დან 15:00-ის ჩათვლით. აღნიშნული დარბაზი მდებარეობს გიმნაზიასთან ახლოს. ექსპერტების მიერ გაიზომა დრო, რომელიც საჭიროა გიმნაზიასა და სპორტულ დარბაზს შორის მანძილის გასავლელად. დარბაზი მდებარეობს გიმნაზიიდან 4 წუთის სავალ მანძილზე. შესაბამისად, მოსწავლეებს შეუძლიათ დასვენებისთვის გამოყოფილი დრო გამოიყენონ სპორტულ დარბაზამდე მისასვლელად.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით. • ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულების გაერთიანებასთან გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტით
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტს

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

აღწერა	დაწესებულებას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კომპლექტი, რომელიც შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან აღნიშნული ლაბორატორიული კომპლექტი განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის განკუთვნილ ოთახში. ლაბორატორიაში ვიზიტის

	დროს არ იყო ნიჟარა ონკანით და გამწოვი, თუმცა არის განიავების საშუალება - ფანჯარა. დაწესებულების წამრმომადგენლის გაცხადებით, გიმნაზიაში არ ტარდება ისეთი ტიპის ექსპერიმენტები, რომელიც საჭიროებდეს სავენტილაციო გამწოვს. იმ ექსპერიმენტებისათვის, რომლებიც გიმნაზიაში ტარდება, საკმარისია ფანჯრით ვენტილაცია. ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ფოტოსურათი, სადაც ჩანს, რომ ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ნიჟარა, ონკანი და გამწოვი. (დანართი 5)
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • შესყიდვის დოკუმენტაციით.
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტს

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

აღწერა	დაწესებულების საკლასო ოთახები ნათელია და აქვთ ბუნებრივი განათება. გიმნაზიის შენობის გათბობა ხდება ცენტრალური გათბობის საშუალებით. გიმნაზიის პირველ სართულზე მოწყობილია 2 სველი წერტილი: ვაჟებისთვის და გიმნაზიის თანამშრომლებისთვის. თანაშრომელთათვის განკუთვნილ სველ წერტილში არის საყრდენი მოაჯირი ეტლით მოსარგებლე პირთათვის. თუმცა შიდა სივრცე არ იძლევა ეტლით თავისუფლად გადაადგილების და მობრუნების შესაძლებლობას.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

	დაწესებულებას ვიზიტის პროცესში არ ჰყავდა ეტლით მოსარგებლე არც მოსწავლე და არც თანამშრომელი. გარდა ზემოაღნიშნულისა, დაწესებულების ეზოში დგას შენობა, რომელშიც განთავსებულია სველი წერტილები ვაჟებისთვის და გოგონებისთის. აღნიშნული სველი წერტილების ჰიგიენური მდგომარეობა ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, მიუხედავად იმისა რომ ვიზიტის დროს ჩანდა, რომ დასუფთავება ხდებოდა, თავად საპირფარეშოების მდგომარეობა არ იძლეოდა ჰიგიენური ნორმების დაცვის შესაძლებლობას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იმ შენობაზე, რომელშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, გარედან მოეწყობა სველი წერტილები გოგონებისთვის. ვიზიტის დროს აღნიშნული სივრცე იყო ამოშენებული და გააჩნდა კარი, ასევე შეყვანილი იყო წყლის და საკანალიზაციო მილები. თუმცა საპირფარეშო ჯერ არ იყო მოწყობილი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ამავე ადგილას მოეწყობა ადაპტირებული სველი წერტილიც. დაწესებულებას მუდმივად მიეწოდება წყალი, ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია. დაწესებულებას ასევე გააჩნია გენერატორი. ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა მომსახურების შესყიდვისა და სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც დგინდება რომ იგეგემება სველი წერტილების მოწყობა **(დანართი 6)**. წარმოდგენილ დოკუმემტაციაში არ არის გასნაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადა. რეკომენდირებულია, სამუშაოების დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინოს შესრულებული სამუშოს ამსახველი ფოტო მასალა.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით • კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები • ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

შეფასება	**არ შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

აღწერა	გიმნაზიას გააჩნია ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი კეთილმოწყობილი სივრცე. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები დალაგებულია როგორც ანბანურად, ასევე თემატურად. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა რამდენიმე წიგნი და სასკოლო სახელმძღვანელოები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია შესაბამისი წესით. დაწესებულებაში იყო სასწავლო პროცესისათვის საჭირო ყველა სახელმძღვანელო. ასევე გიმნაზიას გამოწერილი აქვს ჟურნალები და გაზეთები. ვიზიტის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ მოსწავლეები აქტიურად სტუმრობენ ბიბლიოთეკას და ის წარმოადგენს მათთვის საინტერესო ადგილს. გიმნაზიის ბიბლიოთეკარი აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. იგი მონაწილეობდა და რიგ შემთხვევაში ინიციატორიც იყო გიმნაზიაში გამართული სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • საინვენტარო წიგნებით; • ბიბლიოთეკართან გასაუბრებით.
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა	ვიზიტის დროს გიმნაზიას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. ასევე არ ჰყავდა ეტლით მოსარგებლე არც მოსწავლე და არც თანამშრომელი. შესაბამისად, გიმნაზიის შენობაში არ იყო დამონტაჟებული პანდუსები. თუმცა საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა დაამაგროს ხის პანდუსები, რომელიც ვიზიტის დროს იყო დასაწყობებული.
დადასტურება/დანართი	ვიზუალური დათვალიერებით:
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

აღწერა	გიმნაზიის დათვალიერებისას აღმოჩნდა რომ დაწესებულებას აქვს 20 კომპიუტერი, რომელთაგან ვიზიტის დროისთვის 3 დაზიანებული იყო. დაწესებულებამ წარმოადგინა 15 პერსონალური კომპიუტერის და 3 ნოუთბუქის მის მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომპიუტერების აღნიშნული რაოდენობა აკმაყოფილებს გიმნაზიისათვის განსაზღვრული მოსწავლეთა კონტიგენტისათვის საჭირო რაოდენობას. დაწესებულებას უწყვეტად მიეწოდება ინტერნეტი. ინტერნეტის შესყიდვის ხელშეკრულება დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა შპს „სქაიტელთან“. ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში დამატებით წარმოადგინა 5 პერსონალური კომპიუტერის და 1 ნოუთბუქის ფლობის დოკუმენტაცია **(დანართი 7).**

	ვიზიტის დროს გიმნაზიას არ ჰქონდა ვებ-გვერდი. თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ჰოსტინგისა და დომენის (vanisgimnazia.ge) შეძენის დამადასტურებელი ამონაწერი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, იგეგმება ვებ-გვერდის დამზადებაც. დაწესებულების მხრიდან ცენტრში შემოსულ წერილში, აღნიშნულია, რომ ჰოსტინგი და დომენი შეძენილია და მიმდინარეობს ვებ-გვერდის დამზადება. **(დანართი 8)**
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • ვებ-გვერდის დომეინის და ჰოსტინგის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით. • კომპიუტერების და ნოუთბუქების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. • ინტერნეტის მომსახურების გადახდის ქვითრებით.
შეფასება	**არ შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

აღწერა	დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. თუმცა მათზე არ იყო აღნიშნული გეგმების განთავსების ადგილი და ცეცხლმაქრების მდებარეობა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეეცვალათ აღნიშნული გეგმები ისეთით, რომელიც უზრუნველყოფდა დაწესებულების შენობაში მყოფთათვის ევაკუაციის ან ხანძრის დროს აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულება აღჭურვილია ცეცხლმაქრებით, რომელიც გადამუხტული იყო მიმდინარე წელს. დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „იმერეთის სახანძრო დაცვასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი **(დანართი N9)**, რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულებამ ჩაიბარა 2 ერთეული ევეკუაციის გეგმა. აღნიშნული დოკუმენტაციიდან არ ირკვევა როგორ არის დამზადებული აღნიშნული ევაკუაციის გეგმები და გათვალისწინებულია თუ არა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია. მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით გიმნაზიაში მორიგეობენ მასწავლებლები. უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით გიმნაზიაში ასევე შექმნილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. თუმცა ვიზიტის დროს ამ წესის სრულად დაცვა არ ხორციელდებოდა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დაიცვას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასცვის წესისა და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და

	განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ან შეიმუშავოს ალტერნატიული დოკუმენტი და შეუთანხმოს სამინისტროს. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, გიმნაზია გეგმავდა შეეძინა უკონტაქტო დათვალიერებისათვის საჭირო ხელსაწყოები და განეხორციელებინა ზემოაღნიშნული წესის დაცვისათვის საჭირო ღონისძებები. ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დეტექტორების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია **(დანართი 10).** დაწესებულების შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო 4 კამერა (მათგან ერთი კომპიუტერულ კლასში, ხოლო ერთი საკლასო ოთახში), ხოლო გარე პერიმეტრზე, მთავარ შესასვლელთან, ორი გარე კამერა. შენობის უკანა მხარეს პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებული იყო კიდევ ერთი კამერა, თუმცა ვიზიტის დროს იგი დაზიანებული იყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იგეგმება ვიდეომეთვალყურეობის სისტემის განახლება, რათა შიდა პერიმეტრიც და გარე პერიმეტრიც ისე კონტროლდებოდეს, რომ არ დარჩეს სივრცე მეთვალყურეობის გარეშე. ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ვიდეო-კამერების და ჩამწერი მოწყობილობის მონტაჟის ხელშეკრულება და შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი **(დანართი 11).** გიმნაზიას არ ჰყავს ექიმი. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გიმნაზიის ერთ-ერთ მასწავლებელს გავლილი აქვს პირველადი და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კურსი. საჭიროების შემთხვევაში იგი აღმოუჩენს დაშავებულს პირველად დახმარებას და გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარების ბრიგადა. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აღნიშნული მასწავლებლის მიერ გადამზადების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც იყო რუსულ ენაზე. **(დანართი 12)**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

	ექსპერტების მიერ **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია** აღნიშნული დოკუმენტი თარგმნილიყო ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებულიყო. ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნულ მასწავლებელს 1972 წლის 22 აპრილს მიენიჭა სამოქალაქო თავდაცვის მედდის კვალიფიკაცია (**დანართი 13**).
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით; • კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით; • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით. • დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით. • დეტექტორების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • ვიდეო-კამერების და ჩამწერი მოწყობილობის მონტაჟის ხელშეკრულება და შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი • სამოქალაქო თავდაცვის მედდის კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტის ასლით. • შპს „იმერეთის სახანძრო დაცვასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტს

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

აღწერა	დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, დებულება და შინაგანაწესი. ასევე საქმისწარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტაციით გიმნაზია წარმართავს თავის ყოველდღიურ საქმიანობას.
დადასტურება/დანართი	• წესდებით; • დებულებით; • შინაგანაწესით; • საქმისწარმოების წესით.
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტს

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

აღწერა	დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი/გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (2019-2024 წწ) და 2019-2020 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი გეგმა. ექვსწლიან გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები: ორგანიზაციული განვითარება, მომსახურების გაუმჯობესება, STEM საგნების, ასევე უცხოური ენების მაღალი ხარისიხის უზრუნველყოფა, განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

	სტრატეგიული მიმართულებები თავის მხრივ ჩაშლილია სტრატეგიულ მიზნებად. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გასნაზღვრულია წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები და მათზე პასუხისმგებელი პირები.
დადასტურება/დანართი	გიმნაზიის ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტს

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

აღწერა	დაწესებულებაში დოკუმენტაციის აღრიცხვისთვის არსებობს კადრების ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შემოსული დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა რამდენიმე დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისი წესით აღრიცხული იყო შესაბამის ჟურნალში.
დადასტურება/დანართი	• შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცხვის ჟურნალებით; • გასული წლის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალით.
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტს

III. ადამიანური რესურსი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

აღწერა	გიმნაზიას ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 234 მოსწავლით. ვიზიტის დასაწყისისთვის ჰყავდა 163 მოსწავლე. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში დაფიქსირებულია 49 თანამშრომელი. მათგან 34 არის მასწავლებელი. მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ ბაზის მიხედვით თანამშრომელთა რიგებში ასევე შედიან: ბიბლიოთეკარი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, დირექტორი, ბუღალტერი, წრის ხელმძღვანელები, დირექტორის მოადგილე, დარაჯი, მძღოლი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დამლაგებელი, ფსიქოლოგი და ტექნიკოს-ხელოსანი.
დადასტურება/დანართი	მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული ბაზებით.
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტს

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

აღწერა	34 პედაგოგიდან 10 უფროსი მასწავლებელია, 16 პრაქტიკოსი, ხოლო დანარჩენები ვიზიტის დროისთვის სტატუსის გარეშე იყვნენ. აღნიშნული მასწავლებლებიდან, 2 მასწავლებელი ვ. დ. და ლ.ბ. მიმდინარე წლის ნოემბერში გასული იყვნენ გამოცდის ჩასაბარებალდ. მათ დიპლომით აქვთ დაწყებითი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

	განათლების სპეციალობა. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მათ მიენიჭებათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი. მასწავლებელთა კვალიფიკაციის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ი.ა-ს და დ.ნ.-ს არ აქვთ მასწავლებლის კვალიფიკაცია. **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია** მასწავლებლებს გაფორმებოდათ შესაბამისი ხელშეკრულება მოწვეულის და შემცვლელის. ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ხელშეკრულებები, საიდანაც დგინდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია. მასწავლებელს ი.ა,-ს გაუფორმდა შემცვლელი, ხოლო პედაგოგს დ.ნ.-ს მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება **(დანართი 14)**. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში განსაზღვრულია, რომ მასწავლებელი არ უნდა იყოს ნასამართლების მქონე პირი. პირის ნასამართლეობაში არ ყოფნა დასტურდება მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით. პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად, აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა ნაწილს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობა ნასამართლეობის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ აღნიშნულ ცნობებს მასწავლებლები უახლეს მომავალში წარმოადგენდნენ. ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა ცნობები ნასამართლეობის შესახებ. რომლითაც, სტანდართან შეუსაბამობა აღმოფხვრილია. **(დანართი 15)**.
დადასტურება/დანართი	• მასწავლებელთა პირადი საქმეები. • ნასამართლეობის შესახებ ცნობების ასლებით; • მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტს

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

აღწერა	დაწესებულებას შინაგანაწესში გაწერილი აქვს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების წესი, სადაც გაწერილია თანამშრომლის სამუშაოზე მიღების პროცედურები და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია თანამშრომელთა მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის წახალისების ფორმები და პასუხისმგებლობის ზომა და სახე დისციპლინის დარღვევისათვის. აქვეა ასახული თანამშრომელთა შრომითი ძირითადი პირობები (შვებულების მიცემის წესი, სამსახურიდან გათავისუფლების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი და ა.შ.)
დადასტურება/დანართი	გიმნაზიის შინაგანაწესი
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ პუნქტს

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

აღწერა	გიმნაზიის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
დადასტურება/დანართი	გაფორმებული ხელშეკრულებები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ“ პუნქტს

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

აღწერა	მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. დაწესებულების თანამშრომლები თანამშრომლობენ მასწავლებელთა პროფესიულ კავშირებთან, გიმნაზია სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს ტრენინგების შესახებ. ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფსიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. აქტიურად მუშაობენ მასწავლებლები კათედრებზე. ხდება პედაგოგთა ურთიერთდასწრებები, ურთიერთშეფასება და ურთიერთსწავლება.
დადასტურება/დანართი	• მასწავლებელთა სერტიფიკატები; • სქემაში ჩართულ მასწავლებელთა რეესტრი; • კათედრების პორტფოლიოები.
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე“ პუნქტს

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

აღწერა	ვიზიტის დროს გიმნაზიაში შესვლისთანავე იგრძნობოდა სასიამოვნო და სამუშაო ატმოსფერო. შენობის დერეფნები და საკლასო ოთახები გაფორმებულია მოსწავლეთა და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე

		მასწავლებელთა ნამუშევრებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. სამასწავლებლოში მასწავლებლები დაკავებულნი იყვნენ სასკოლო საქმიანობებით, ზოგიერთი მათგანი ამზადებდა რესურსს მომდევნო გაკვეთილისთვის. მშობლებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან გიმნაზიის შედეგებით. მშობლები აღნიშნავდნენ გიმნაზიის ადმინისტრაციის ყურადღებას და კეთილგანწყობას როგორც მათ მიმართ, ასევე ბავშვების მიმართ. ასევე ხაზს უსვამდნენ მასწავლებელთან აქტიურ კომუნიკაციას და მასწავლებლების მზაობას ითანამშრომლონ მშობლებთან და ბავშვებთან. კათედრების პორტფოლიოების შემოწმებით გამოჩნდა მასწავლებელთა თანამშრომლობის მაღალი ხარისხი. აღნიშნული შესამჩნევი იყო მასწავლებლებთან ინტერვიუზეც. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების და რესურსების გაზიარება. აქტივობების ერთობლივად დაგეგმვა და განხორციელება. მოსწავლეებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათაც გააჩნიათ პოზიტიური დამოკიდებულება გიმნაზიისადმი და დაინტერესებულნი არიან სწავლის პროცესით. ისინი თვლიან, რომ აქვთ საშუალება ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ როგორც მასწავლებლებს, ასევე ადმინისტრაციას თავისი იდეების განხორციელებისათვის.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დადასტურება/დანართი	• მასწავლებლებთან და დირექციის წევრებთან გასაუბრებით; • მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება	**შეესაბამება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე“ პუნქტს

თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 – 35 (ოცდათხუთმეტი) ფურცელი
დანართი 2 – 45 (ორმოცდახუთი) ფურცელი
დანართი 3 – 6 (ექვსი) ფურცელი
დანართი 4 – 1 (ერთი) ფურცელი
დანართი 5 – 1 (ერთი) ფურცელი
დანართი 6 – 6 (ექვსი) ფურცელი
დანართი 7 – 1 (ერთი) ფურცელი
დანართი 8 – 2 (ორი) ფურცელი
დანართი 9 – 5 (ხუთი) ფურცელი
დანართი 10 – 3 (სამი) ფურცელი
დანართი 11 – 2 (ორი) ფურცელი
დანართი 12 – 1 (ერთი) ფურცელი
დანართი 13 – 3 (სამი) ფურცელი
დანართი 14 – 10 (ათი) ფურცელი
დანართი 15 – 4 (ოთხი) ფურცელი
დანართი 16 – 1 (ერთი) ფურცელი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - დავით ლიპარტელიანი ----------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ინგა ლომაძე ----------